UniLab - wordpress დეველოპმენტი

სასწავლო კურსის სტატუსი	სასერტიფიკატო კურსი (საბაზისო)
კრედიტების და საათების რაოდენობა	**<u>საკონტაქტო საათები:</u>** • ლექცია 14 (2 საათი) • პრეზენტაცია, ფინალური პროექტის წარდგენა (2 საათი) • სულ საკონტაქტო საათი: 24 **<u>სულ დამოუკიდებელი სამუშაო საათი: 24</u>** საკონსულტაციო საათები ლექტორთან წინასწარი შეთანხმებით
ლექტორი	**ნუკრი ტუსიშვილი** საკონტაქტო ინფორმაცია: T: 558 14 89 11 E: nukri.tusishvili@geolab.edu.ge FB: www.facebook.com/earendilll
სასწავლო კურსის ფორმატი	ინტერაქტიული ლექცია, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა, დისკუსია, პრაქტიკული სამუშაო.
სასწავლო კურსის მიზანი	ბევრი ქართული კომპანია დღეს პროგრამისტებს ქირაობს რათა მათი დახმარებით შექმნას ვებგვერდ და გაავრცელოს ინფორმაცია ინტერნეტის საშუალებით. არადა ინტერნეტის განვითარებასთან ერთად, ინტერნეტში ინფორმაციის განთავსება, კერძოდ კი ვებგვერდის შექმნა სულ უფრო ადვილი ხდება. უამრავი დამხმარე კომპიუტერული პროგრამისა თუ ონლაინ სერვისის საშუალებით დღეს საკუთარი ძალებითაც არის შესაძლებელი იმის გაკეთება რისთვისაც სხვადასხვა კომპანიები დღემდე პროგრამისტებს იშველიებენ. ამ კურსის ფარგლებში მსმენელები შეისწავლიან სრულფასოვანი ვებგვერდის შექმნას მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული CMS(Content Managment System) სისტემის, wordpress-ის საშუალებით.

სწავლის შედეგი	**კურსის გავლის შედეგად სტუდენტებს ეცოდინებათ:** 1. ინტერნეტის ფუნქციონირების პრინციპები

	2. wordpress, SQL მონაცემთა ბაზის შექმნა, ინსტალაცია, C-panel -ზე ნავიგაცია 3. wordpress-ის ბაზაზე საკუთარი ვებგვერდის შექმნა 4. wordpress -ის თემების ინსტალაცია, მოდიფიკაცია, დემოს შემოტანა და ცვლილებების შეტანა 5. wordpress-ის ძირითადი ფლაგინების ინსტალაცია, მოდიფიკაცია 6. wordpress-ის უსაფრთხოების ძირითადი პრინციპები 7. wordpress-ის ბაზაზე შექმნილი ვებგვერდის მართვა 8. Embed კოდებთან მუშაობა. 9. საბაზისო HTML5 10. საბაზისო CSS3

სამიზნე აუდიტორია:	კურსი განკუთვნილია მათთვის ვისაც სურს საკუთარი ძალებით ააწყოს ვებგვერდი. ეს შეიძლება იყოს, რომელიმე კომპანიის, არასამთავრობო ორგანიზაციის ან სახელმწიფო სტრუქტურის თანამშრომელი, მაგალითად PR განყოფილებიდან. ან სულაც ადამიანი, რომელსაც სურს საკუთარი კომპანიისა თუ ბიზნეს იდეისათვის ააწყოს ვებგვერდი, გამართოს საკუთარი ონლაინ საკომუნიკაციო არხი. კურსი პრაქტიკული ხასიათისაა და შესაბამისად კურსის დასრულების შემდეგ თქვენ შეგიძლიათ გქონდეთ ვებგვერდი და ცოდნა, რომელზე დაყრდნობითაც შეძლებთ საკუთარი ვებგვერდის მართვას და მასში ტექნიკური სახის ცვლილებების შეტანას.

#		სასწავლო კურსის შინაარსი
1	**ლექცია 1** (2 საათი)	**ინტერნეტის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები** ინტერნეტის შექმნის ისტორია; ინტერნეტის განვითარების ძირითადი ეტაპები; Web-ის შექმნა; web 2.0 - ინტერნეტ რესურსი როგორც პლატფორმა, რა არის web და როგორი პრინციპით მუშაობს; პროგრამული ენები, ძრავები და მათი განვითარება; **საშინაო დავალება:** შეარჩიეთ ერთი პროგრამული ენა ან ძრავი, მოიძიეთ ინფორმაცია და წარმოადგინეთ პრეზენტაციის სახით, შეგიძლიათ გამოიყენოთ

		გუგლის სლაიდებიც. დავალების მიზანია ერთმანეთს გავუზიაროთ მოძიებული ინფორმაცია.
2	**ლექცია 2** (2 საათი)	**ვებდიზაინი** ვიზუალური კომუნიკაციის მოკლე ისტორია; რა არის დიზაინი; ვებდიზაინის ძირითადი ელემენტები; ვებგვერდის სტრუქტურა; ვებგვერდის ბადე(grid); როგორ ვიწყებთ საიტზე მუშაობას(პროცესები); საიტის შინაარსობრივად დალაგება; ბრიფი; ტექნიკური დავალება; **პრაქტიკული სამუშაო:** ვებგვერდის სტრუქტურის შემუშავება Google Drive-ში. **საშანო დავალება:** შეადგინეთ საიტის ბრიფი, და ტექნიკური დავალება სურვილისამებრ, ისეთი საიტის როგორიც გინდათ რომ გქონდეთ. **1. ონლაინ პროექტის იდეა** რა ქვია თქვენ ვებგვერდს. რა არის თქვენი პროექტის ძირითადი იდეა. რა თემის ირგვლივ არის შექმნილი თქვენი ვებგვერდი. რა ტიპის ინფორმაცია იქნება განთავსებული თქვენ ვებგვერდზე. რა ინტენსივობით გეგმავთ სიახლეების განთავსებას **2. ვებგვერდის სტრუქტურა** რა სახის განყოფილებები გინდათ რომ იყოს თქვენ ვებგვერდზე ანუ როგორი მენიუ ექნება თქვენ ვებგვერდს. რა სახის ინფორმაცია იქნება მენიუს თითო ღილაკის ქვეშ. რა სახის ფოტოს და ვიდეო მასალას გამოიყენებთ. საიდან მოიპოვებთ ვიდეო და ფოტო მასალას. **3. ვინ იქნება თქვენი აუდიტორია** ვისზე იქნება მიმართული თქვენი პროექტი. მიუთითეთ ვინ იქნება თქვენი ონლაინ რესურსების სამიზნე ჯგუფი. რა ასაკის, რა სქესის იქნება ძირითადი აუდიტორია. დაახასიათეთ თქვენი ვებგვერდის ერთი კონკრეტული მომხმარებელი (სად ცხოვრობს, სად სწავლობს, რა ასაკისაა). როგორ გგონიათ რატომ შემოვა თქვენს რესურსზე თქვენ მიერ დახასიათებული მომხმარებელი, რა აინტერესებს როგორ ეძებს და თქვენი აზრით როგორ

		შეიძლება მისი მომხმარებლური გამოცდილების გაუმჯობესება.
3	**ლექცია 3** (2 საათი)	**როგორ შევქმნათ ვებგვერდი** დინამიური და სტატიკური ვებგვერდები რა არის მონაცემთა ბაზა. მონაცემთა ბაზების ფუნქციონირების პრინციპები (MySQL). ონლაინ პლატფორმები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია ვებგვერდის შექმნა. მათი შესაძლებლობები და ფუნქციონირების პრინციპები. 4.1 Joomla - რა შესაძლებლობებს გვთავაზობენ კონტენტის მართვის სისტემები 4.2 Wordpress - ბლოგიდან ვებგვერდამდე 4.3 osCommerce - ონლაინ პლათფორმა მხოლოდ მაღაზიის შესაქმნელად 4.4 Drupal - კონტენტის მართვის სისტემაზე უფრო მეტი **პრაქტიკული სამუშაო:** ვებგვერდის შექმნა Wordpress-ზე **საშინაო დავალება:** შეარჩიეთ ერთი ვებგვერდი და მოამზადეთ პრეზენტაცია რომელშიც თქვენ მიერ შერჩეულ საიტს აღწერთ (საიტი შეიძლება იყოს როგორც ქართული ასევე უცხოურიც). ჯგუფის თითოეულმა წევრმა უნდა მოამზადოს მინიმუმ 4 სლაიდი. შერჩეული გვერდის თემა თქვენი ონლაინ პროექტის თემას უნდა ემთხვეოდეს. პრეზენტაცია უნდა მოიცავდეს შემდეგ თემებს: **1. ვინ შექმნა თქვენ მიერ შერჩეული საიტი** როგორც გითხარით ამისათვის უნდა იპოვოთ შესაბამისი განყოფილება ვებგვერდზე და ამოკრიფოთ თქვენი პრეზენტაციისათვის საჭირო ინფორმაცია. ამის გარდა ნახეთ თუკი ამ გვერდზე მითითებულია იმ ადამიანების შესახებ ინფორმაცია ვინც მის შექმნაზე ან საიტზე განთავსებული ინფორმაციის განახლებაზე მუშაობს. მიუთითეთ ამ ადამიანების რაოდენობა და სხვა მათთან დაკავშირებული თქვენი აზრით საინტერესო ინფორმაცია. **2. საიტის მენიუ** მიუთითეთ რამდენი მენიუა საიტზე (როგორც გითხარით საიტზე შეიძლება იყოს ერთ მენიუზე უფრო მეტი). რა ადგილას არის განლაგებული ეს მენიუები. არის თუ არა საიტზე ქვემენიუები. რა სახის ინფორმაციაა ხელმისაწვდომი თითოეულ მენიუს ღილაკზე მიჭერის შემთხვევაში.

		3. როგორ არის ერთმანეთთან დაკავშირებული საიტის სხვადასხვა სექციაში განთავსებული ინფორმაცია. მენიუს გარდა კიდევ რა მექანიზმები არის გამოყენებული საიტში სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული ინფორმაციის ერთმანეთთან დასაკავშირებლად, ინფორმაციის დასახარისხებლად. არის თუ არა საიტზე გამოყენებული თეგების სისტემა. მენიუს ღილაკზე დაჭერისას და რომელიმე სექციაში შესვლისას ძირითადი ინფორმაციის გარდა კიდევ რა ინფორმაცია ჩანს ვებგვერდზე. ლინკების დახმარებით სად შეიძლება გადასვლა ამ სექციიდან. **4. საიტის დიზაინის ელემენტები** გააკეთეთ შერჩეული საიტის screenshot-ი და დაყავით, დაჭერით საიტი დიზაინის ელემენტების შესაბამისად. აღწერეთ თითოეული ელემენტი (საიტის ლოგო. მისი სახელი, მენიუ, საიტზე განთავსებული რეკლამა და ინფორმაციული ბლოკები და სექციები ა. შ.)
4	**ლექცია 4** (2 საათი)	**რა არის Wordpress-ი** რა კომპონენტებისგან შედგება იგი, მისი ძლიერი და სუსტი მხარეები. Wordpress-ის ინსტალაცია მართვის პანელის ძირითადი აღწერილობა მომხმარებლების მართვა Settings: ძირითადი, წერა, კითხვა, დისკუსია, მედია ,პრივატულობა, ლინკები **პრაქტიკული სამუშაო:** wordpress-ის ინსტალაცია **საშინაო დავალება:** 1. მოიძიეთ ინფორმაცია მინიმუმ 3 სხვადასხვა სერვერზე როგორ ხდება wordpress-ის ინსტალაცია, რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს სერვერი. 2. შექმენით ვორდპრესზე სხვადასხვა მომხმარებლები: ადმინისტრატორი, ავტორი, ედიტორი. 3. გამართეთ სეთინგების პანელი, ძირითადი, დისკუსია, ლინკები და მედია
5	**ლექცია 5** **(2 საათი)**	**Wordpress-ის სტრუქტურა** რა განსხვავება გვერდებსა და პოსტებს შორის პოსტის შექმნა/ გვერდის შექმნა / ქვედვერდის შექმნა ტექსტური მასალის შექმნა (ვიზუალური ედიტორი/HTML ედიტორი)

		პოსტების დროში მართვა ლინკების დამატება ფოტოების დამატება რა განსხვავებაა კატეგორიებსა და თეგებს შორის, როგორ შევქმნათ და ვმართოთ. **პრაქტიკული სამუშაო:** პოსტის განთავსება **საშინაო დავალება:** პირველი პოსტის განთავსება. პოსტი უნდა შეიცავდეს ტექსტს (მინიმუმ 250 სიტყვა) და ფოტო გამოსახულებას.
6	**ლექცია 6** (2 საათი)	**მენიუს შექმნა wordpress-ში** მენიუს ტიპები და მისი ადგილმდებარეობა ვორდპრესში; ინფორმაციის სტრუქტურირება ვებგვერდზე; ისევ მონაცემთა ბაზები. **პრაქტიკული სამუშაო:** მენიუს შექმნა **საშინაო დავალება:** მენიუსთან მუშაობა მასში ცვლილებების შეტანა, ახალი ღილაკების დამატება.
7	**ლექცია 7** **(2 საათი)**	**ფლაგინები და თემები** რა არის ფლაგინი მოძიება/შერჩევა/დამატება (უფასო და ფასიანი ფლაგინები) თემები შერჩევა/დაყენება (უფასო და ფასიანი თემები) აუცილებელი ფლაგინები რომლებიც გაგიადვილებთ მრავალფეროვანი ვებ გვერდის შექმნას Slider Revolution Visual Composer შეარჩიეთ სასურველი თემა და გამართეთ იგი. მოამზადეთ მოკლე პრეზენტაცია შერჩეული თემის შესაძლებლობების შესახებ. ვიზუალ კომპოზერის დახმარებით შექმენით სხვადასხვა სტრუქტურის გვერდები. (2 სვეტიანი, 3 სვეტიანი, გაასწორეთ დაშორებები, თითოეული

		სვეტი ჩასვით ჩარჩოში) შეარჩიეთ მინიმუმ ერთი ფლაგინი და დააყენეთ თქვენ ვებგვერდზე. მოამზადეთ მოკლე პრეზენტაცია შერჩეული ფლაგინის შესაძლებლობების შესახებ.
8	**ლექცია 8** (2 საათი)	**Front-end საფუძვლები(HTML კოდი და CSS სტილები 1)** რა არის HTTP რა არის HTTPS რა არის HTML-ი რა არის CSS რისგან შედგება ვებგვერდი(header, body, footer) შინაარსობრივი ბლოკები **პრაქტიკული სამუშაო:** მარტივი ვებგვერდის შექმნა, ვებგვერდის ინტერნეტში განთავსება.
9	**ლექცია 9** (2 საათი)	**Front-end საფუძვლები(HTML კოდი და CSS სტილები 1)** **სამუშაო ენები:** HTML ძირითადი ტერმინები HTML დოკუმენტის სტრუქტურა CSS ძირითადი ტერმინები CSS გამოყენება და დოკუმენტის სტრუქტურა პროექტისათვის დოკუმენტების ორგანიზება Github რეგისტრაცია და მოხმარების წესები **HTML და CSS თან მუშაობა** 1. სემანტიკური HTML 2. HTML ჰიპერლინკი 3. CSS კომბინირებული სელექტორები 4. ბოქს მოდელი 5. CSS სელექტორების თვისებები და მათი მნიშვნელობის განხილვა 6. კოდის ვალიდაცია **ტიპოგრაფიასთან მუშაობა** 1. font-face, ფონტები და შესაბამისი ფორმატები ვებისთვის 2. სასურველი ფონტის მოძება და გამოყენება 3. ფონტების სტილების/ზომების მართვა **ლეიაუთის შექმნა დისპლეი ფლექსის გამოყენებით** **html css სწავლა თამაშებით:** **საშინაო დავალება:**

		დახურეთ ორივე თამაში და წარმოადგინეთ შესაბამისი სქრინი https://flexboxfroggy.com/ https://flukeout.github.io/
10	**ლექცია 10** (2 საათი)	**wordpress-ის ვიჯეტები** რა არის wordpress-ის ვიჯეტი და რითი განსხვავდება იგი ფლაგინისაგან; როგორ ცვლის ვიჯეტი ვორდპრესისი გარეგნულ სახეს; პროგრამული კოდის ჩაშენება ვიჯეტში. ვიჯეთის დამატებითი ადგილმდებარეობის შექმნა მოკლე კოდების გამოყენება **პრაქტიკული სამუშაო:** ვიჯეტებთან მუშაობა **საშინაო დავალება:** მიამაგრეთ თქვენ ვებგვერდს მინიმუმ ერთი ვიჯეტი. მოამზადეთ მოკლე პრეზენტაცია შერჩეული შერჩეული ვიჯეტის შესახებ.
11	**ლექცია 11** **(2 საათი)**	**ყველაზე ხშირად გამოყენებადი ფლაგინები** მრავალენოვანი ვებ გვერდის შექმნა საკონტაქტო ფორმები Grid Builder **პრაქტიკული სამუშაო:** სხვადასხვა სათარგმი ფლაგინების მეშვეობით პოსტის და მენიუს თარგმნა **საშინაო დავალება:** შეარჩიეთ და დააყენეთ ერთი მთარგმნელი ფლაგინი, შექმენით ორენოვანი პოსტი, გვერდი და მენიუ. შექმენით საკონტაქო ფორმა, რომელსაც ექნება 2 სავალდებულო ველი და ერთი ჩამოსაშლელელი ველი)
12	**ლექცია 12** (2 საათი)	**ვიზუალურად გამართვა და ოპტიმიზაცია** css პროგრამულ კოდთან მუშაობა wordpress-ში Chrome ბრაუზერი და Developer Tools-ის პანელი Maintenance Mode ვებ გვერდის ოპტიმიზაცია **პრაქტიკული სამუშაო:** css კოდში ცვლილების შეტანა. სათაურის ზომისა და ფერის შეცვლა, ფოტოების და სხვა მასალის ოპტიმაზაცია

		საშინაო დავალება: css კოდში ცვლილების შეტანა, ვებ გვერდის გადაყვანა maintenance mode-ში, 2 აიპის დამატება რომლებიც შეძლებენ ვებ გვერდის გახსნას.
13	**ლექცია 13** (2 საათი)	**ვებ გვერდი და მარკეტინგი** **Seo**-ს მნიშვნელობა და გაწერა. ვებგვერდის Google Analytics-თან მიერთება. შექმნილი მასალის სოციალური ქსელებში გაზიარების საშუალებები. კომენტარების მართვა **EMBED კოდთან მუშაობა** რა არის EMBED კოდი EMBED კოდის საშუალებით wordpress-ში რუკის ჩაშენება **პრაქტიკული სამუშაო:** ვებგვერდის Google Analytics-თან მიერთება **საშინაო დავალება:** გაუწერეთ ვებ გვერდს მეტა ინფორმაცია, დაამატეთ პოსტს ერთი კომენტარი, გააზიარეთ Facebook-გვერდზე ერთი სტატია, საკონტაქტო გვერდს დაამატეთ რუქა. **პრობლემების მართვა** Error მესიჯების გაანალიზება გადაჭრის გზების მოძიება Wordpress- ის ავტომატური და დაგეგმილი განახლება Wordpress დაუნგრეიდი Back up -ის შექმნა **პრაქტიკული სამუშაო:** ვორდპრესის და ფლაგინების განახლება **საშინაო დავალება:** შექმენით ბაზის და ვებ გვერდის back up-ი
14	**ლექცია 14** (2 საათი)	**გამოცდა:** Google Spreadsheet-ში მოამზადეთ პრეზენტაცია, ანგარიში ჩატარებული სამუშაოს შესახებ.

		1. ზოგადად ვებგვერდის შესახებ რა ქვია თქვენ ვებგვერდს. რა არის თქვენი პროექტის ძირითადი იდეა. რა თემის ირგვლივ არის შექმნილი თქვენი ვებგვერდი. საერთო ჯამში რამდენი პოსტი იყო განთავსებული თქვენ ვებგვერდზე. წარმოადგინეთ გვერდის ერთიანი სტატისტიკა: რამდენი მნახველი ყავდა რომელი იყო ყველაზე პოპულარული პოსტი საიდან შემოდიოდა მნახველების ძირითადი ნაწილი (რომელი ონლაინ რესურსიდან გადმოვიდა თქვენთან, რომელ ონლაინ რესურსზე განლაგებულ ლინკს გადმოყვა) მოუძებნია თუ არა ვინმეს თქვენი რესურსი გაუგლის საშუალებით, თუ კი მაშინ რომელი სიტყვით. **2. მოკლედ ვებგვერდის სტრუქტურა** რა სახის განყოფილებებია თქვენს ვებგვერდზე ანუ რამდენი და როგორი მენიუ გაქვთ. **3. თემფლეითი** რომელი თემფლეითი შეარჩიეთ და რატომ არის ეს თემფლეითი თქვენი პროექტისათვის საუკეთესო არჩევანი. რა სახის ცვლილებები განახორციელეთ თემფლეითში. რა შესაძლებლობები აქვს თქვენ მიერ შერჩეულ თემფლეითს და რისი გაკეთება გსურდათ მაგრამ ვერ შესძელით შერჩეული თემფლეითით. **4. ფლაგინები** აღწერეთ რომელი ფლაგინები შეარჩიეთ თქვენი ვებგვერდისათვის. განმარტეთ შერჩეული ფლაგინების შესაძლებლობები. **5. ვიჯეტები**

		აღწერეთ რომელი ვიჯეტები შეარჩიეთ და რატომ.